პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 23 აგვისტო, 1942 წ. № 199 (6515). ფასი 15 კაპ.

თბილისი

სანიმუშოდ ჩავატაროთ საშემოდგომო თესვა!

შარშან საქართველოში საშემოდგომო კულტურების ნათესი ფართობი მნიშვნელოვნად გადიდდა. დიდი სამამულო ომის დღეებში კოლმეურნეობებმა ახალი მიწების ათვისების გზით გააფართოეს ნათესები. საქართველოში საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეულის ნათესის ხვედრითი წონა მეტად თვალსაჩინოა. ომიანობის ვითარება მოითხოვს წელს კიდევ უფრო გავაფართოოთ ნათესები. საამისოდ [illegible]

ლისის რაიონის სოფ. დიდი ლილოს სტალინის სახელობის, სოფ. გლდანის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობებში გასულ წელს საშემოდგომო კულტურები ზერელედ მოხნულ ნიადაგში დასთესეს, თესვა ჩაატარეს 15-20 დღის დაგვიანებით. ამავე რაიონის სოფ. თელეთის კოლმეურნეობაში საშემოდგომო თავთავიან კულტურებს 4-5 წლის განმავლობაში ნაწვერალზე სთესდნენ. ამის შედეგად მოსავალიც [illegible]

[illegible]

რიოტულმა მოწოდებამ თავდაცვის ფონდისათვის საშემოდგომო კულტურების გეგმის გადამეტებით დათესვის შესახებ. საქართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებში გამოაქვთ გადაწყვეტილებანი საშემოდგომო ნათესთა გაფართოებისათვის. ქარელის რაიონის სოფ. დირბის ვოროშილოვის სახელობის და სოფ. ქარელის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით დასთესონ საშემოდგომო კულტურები 40-40 ჰექტარზე. გორის რაიონის სოფ. შინდისის კოლმეურნეობა „ახალმა ცხოვრებამ“ აიღო ვალდებულება საშემოდგომო კულტურები გეგმის გადამეტებით დასთესოს 17 ჰექტარზე. ამ კეთილშობილურ პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი თელავის რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ამ პატრიოტულ აღფრთოვანებას და მიაღწიონ იმას, რომ ყოველმა კოლმეურნეობამ თავდაცვის ფონდისათვის დასთესოს საშემოდგომო კულტურები.

ბევრგან თავიდანვე იზრუნეს საშემოდგომო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად. ცნობილია, რომ ანეული მოსავლიანობის გადიდების მძლავრი საშუალებაა. ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დუშეთის, ასპინძის და სხვა რაიონებში დიდი გადამეტებით შეასრულეს საანეულო ხვნის გეგმები. მაგრამ ზოგან მთელი სერიოზულობით არ ეკიდებიან ანეულის დამუშავებას. ამით აიხსნება, რომ გორის, თბილისის, ლუქსემბურგის, ბოგდანოვკის მთელ რიგ კოლმეურნეობებში აჭიანურებენ ანეულის დროულად დამუშავებას.

კიდევ რამდენიმე დღე, და საქართველოში საშემოდგომო თესვა დაიწყება. თესვა დროის მიხედვით ემთხვევა სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოსავლის აღებას და მინდვრის სხვა სამუშაოებს. საჭიროა კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა ძალთა სწორი განაწილებითა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებით უზრუნველჰყონ როგორც მოსავლის აღების დროულად დამთავრება, ისე თესვისათვის სანიმუშოდ მომზადება. ჯერ კიდევ არის დრო იმისათვის, რომ პარტიისა და მთავრობის ეს დავალება მებრძოლურად შევასრულოთ.

საჭიროა გავაძლიეროთ საშემოდგომო ხვნის ტემპები და განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ხვნის ხარისხს. მაღალ მოსავალზე ლაპარაკი ლიტონი სიტყვა იქნება, თუ თესვისწინა დამუშავება მაღალი აგროტექნიკური დონით არ ჩავატარეთ. თბი- [illegible]

დავახარისხოთ და თესვის კონდიციამდე დავიყვანოთ.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საშემოდგომო თესვის ოპტიმალურ ვადებში ჩატარებას. კოლმეურნეობებისა და მტს-ების საბრძოლო ამოცანაა შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩაატარონ საშემოდგომო თესვა, რომ ნათესმა ზამთრის დადგომამდე მოასწროს კარგად განვითარება. დაგვიანებული ნათესი ვერ ასწრებს ნორმალურად დაფესვიანებას, გამ-გრებას სიცივეების დაწყებამდე და დაზრობის საფრთხე მოელის. ამავე დროს მტკიცედ უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ თესვის დაგვიანებით მოსავალი მცირდება. თესვის დიფერენცირებული ვადების ურყევად დაცვა უზრუნველჰყოფს მოსავლიანობის თვალსაჩინოდ გადიდებას.

თესვის სწრაფად ჩატარებისათვის საჭიროა მტს-ებმა სრულ წესრიგში მოიყვანონ სატრაქტორო პარკი, რომ ტრაქტორებმა შეუფერხებლივ იმუშაონ ხვნა-თესვაზე. ამავე დროს კოლმეურნეობებმა კარგად მოამზადონ და მაქსიმალურად გამოიყენონ ამ საქმეზე ცოცხალი გამწევი ძალა.

„საშემოდგომო თესვა რომ სწრაფად, დროულად ჩატარდეს, ამისათვის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა რაიონებს, ხოლო რაიონებში— კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს უნდა დაუწესონ ყოველდღიური დავალებანი, საჭირო რაოდენობით გამოჰყონ ცხენები და ტრაქტორები, ამასთან არ უნდა დაუშვან, რომ ისინი სხვა სამუშაოზე გამოიყენონ თესვის დამთავრებამდე. კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ თესვის აგრეგატული წესი — ერთობლივი მუშაობა კულტივატორის, ფარცხისა და სათესი მანქანის, ხოლო მოუხნავ მინდვრებში —გუთნის, საგორავის ან ფარცხისა და სათესი მანქანის გადაბმით. კოლმეურნეობებს, მტს-ებს და საბჭოთა მეურნეობებს წელს ნებადართული აქვთ საშემოდგომო პურეულისათვის ხვნის დროს ნაკლებად დასარეველიანებულ მიწებზე ტრაქტორებთან და ცხენის გუთნებთან ერთად გამოიყენონ მრავალსახნისიანი გუთნები და საოშები. ესეც საშუალებას მოგვცემს უფრო მოკლე ვადებში ჩავატაროთ თესვა“. („პრავდა“).

ომიანობის შესაფერისად მოვემზადოთ და ჩავატაროთ საშემოდგომო თესვა. ყოველმა რაიონმა, კოლმეურნეობამ, ბრიგადამ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც უნდა შეასრულოს თესვის გეგმები. ამას მოითხოვს სამშობლოსა და ფრონტის ინტერესები.

თურქეთის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა ღ. აჩიკალინმა რწმუნების სიგელი გადასცა

22 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ღ. აჩიკალინი, რომელმაც მას თავისი რწმუნების სიგელი გადასცა.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბელგიის დესპანი ბ-ნი რ. ვან დე კერშოვ დალებასი

22 აგვისტოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბელგიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი რ. ვან დე კერშოვ დალებასი.

მარცხიანი „ძირდაშვება“

დილით სოფლის საბჭოში გამოცხადდა წითელი არმიის მფრინავი ლეიტენანტი.

მან დოკუმენტები წარადგინა და სთხოვა, ბინა მიჩვენეთ, რომ ტანსაცმლის გაშრობა და დასვენება შევძლოო.

ლაპარაკში სოფლსაბჭოს მდივანმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ მფრინავი ურევდა სოფლებს, რომლებშიც მას ყოფნა მოუხდა.

სოფლსაბჭოს მდივანმა გაიფიქრა, აქ საქმე კარგად ვერ არისო, ჰაერისადმი მეთვალყურეობის პოსტის უფროსთან გაემართა და თავისი ეჭვის შესახებ უამბო.

შემოწმებისას „ლეიტენანტი“ აღმოჩნდა ფაშისტი მზვერავი, რომელიც ღამით გერმანული თვითმფრინავიდან დაშვებულიყო.

(საკდესი).

დოკუმენტები 1812 წელს მტერთან დონის კაზაკთა ბრძოლის შესახებ

„28-ს პოლკოვნიკმა კუდაშევმა... შეიტყო, რომ მტერი სოფელ ნიკოლსკოეშია 2.500 კაცის რაოდენობით, თავს დაესხა მას მოულოდნელად 300 კაზაკით: იერიში სწრაფი იყო, მტერზე გამარჯვება კი საბოლოო, რადგან, დიდი რიცხვობრივი სიჭარბის მიუხედავად, მტერი უკუქცეულ იქნა“.

ეს ჩანაწერი ეკუთვნის დიდ რუს მხედართმთავარს მ. კუტუზოვს, იგი შეტანილია სამხედრო მოქმედების ჟურნალში სამამულო ომში დონის კაზაკთა ერთ-ერთი სახელოვანი საბრძოლო საქმის შესახებ; ეს ჩანაწერი მოყვანილია ისტორიული დოკუმენტებისა და მასალების კრებულში „დონის კაზაკობა 1812 წლის სამამულო ომში“, რომელიც გამოსცა სახელმწიფო პოლიტიკურმა გამომცემლობამ. დოკუმენტების მეტი ნაწილი პირველად არის გამოქვეყნებული.

კრებული გვიხატავს მაღალ პატრიოტიზმს, ვაჟკაცობასა და გულადობას, რომელიც გამოიჩინა დონის კაზაკობამ 1812 წელს. მასში თავმოყრილია დონის კაზაკთა ჯარის ატამან პლატოვის მიერ სარდლობისათვის წარდგენილი პატაკები და მოხსენებანი სამხედრო მოქმედების შესახებ, კუტუზოვის, ბარკლაი დე-ტოლისა და ბაგრატიონის ბრძანებანი და წერილები, უცხოეთის პრესის მასალები 1812 წლის ომის შესახებ. წიგნში მრავალი დოკუმენტია, რომელიც ახასიათებს კაზაკთა ფართო მონაწილეობას პარტიზანულ ომში.

(საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

22 აგვისტოს დილის ცნობა

21 აგვისტოს ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან კლეტსკაიას სამხრეთ-აღმოსავლეთით, კოტელნიკოვოს ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით, პიატიგორსკის სამხრეთ - აღმოსავლეთით და კრასნოდარის სამხრეთით მდებარე რაიონებში.

ფრონტის სხვა უბნებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

კლეტსკაიას რაიონში ჩვენმა ნაწილმა ღა- [illegible]

ჰიტლერელი და დაზიანებულ იქნა გერმანელთა 6 ტანკი. ამხ. არსენტიევის ბატარიამ მტრის 2 ტანკი დააზიანა. ამხ. კონდრატენკოს საარტილერიო ბატარიამ, რომელიც შეტევაზე გადასულ ქვეითებთან ერთად მიიწევდა წინ, მტრის 4 მიწური საცეცხლე წერტი დაანგრია და ერთი ნაღმსატყორცნი ბატარია და 3 სატყვიამფრქვევო წერტი მოსპო.

* * *

პარტიზანულმა რაზმმა ამხ. კ-ს მეთაურობით [illegible]

22 აგვისტოს საღამოს ცნობა

[illegible]

... მანქანა, 6 მოტოციკლი და დიდძალი სამხედრო მასალა. სხვა უბანზე მტერთან შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა ახალ პოზიციებზე გადმოინაცვლეს.

პიატიგორსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნ ნაწილის მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა 3 ტანკი, 9 ავტომანქანა და 200-ზე მეტი ჰიტლერელი ჯარისკაცი გაჟლიტეს.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას განაგრძობდნენ. უფროს ლეიტენანტ მი- [illegible]

[illegible] განაგრძო გზა.

გერმანელი ოფიცრების ასეთი სისასტიკე ჯარისკაცებს აქეზებს. უნტერ-ოფიცერი კორი და ეფრეიტორი ფრინი მთელი დღე აშუჩად იგდებდნენ ტყვე წითელარმიელს. ისინი მრავალნაირ უსასტიკეს წამებას იგონებდნენ მისთვის. საღამოსათვის ხიშტით გაუხვრიტეს მას ყელი. რუსი სამხედრო ტყვის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. იგი შეიძლება ყოველ წუთს მოჰკლან. თუ მას არ დახვრეტენ, ცემით მოჰკლავენ, ან წამებითა და შიმშილით მოკვდება“.

მეავტომატე კარპოვის მოსაზრებულობა

მოქმედი არმია, 22 აგვისტო (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ბატალიონმა უკუაქცია გერმანელები და წარმატებით მიიწევდა წინ. თავისი უკანდახევის უზრუნველსაყოფად გერმანელებმა ბატალიონის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყვანეს მეავტომატეთა დიდი ჯგუფი. მეავტომატეები ტყეში ჩასაფრდნენ. ბრძოლამ პატარ-პატარა, მაგრამ გააფთრებული სროლის, შეტაკებათა, შეჯახებათა და ურთიერთ ჩასაფრების ხასიათი მიიღო. ბატალიონის მებრძოლები ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ და ტყიდან ერეკებოდნენ ჩასაფრებულ ფაშისტებს.

ამ დროს მეავტომატე კარპოვმა დავალება მიიღო—პური მიეტანა ბატალიონის მეთაურთა ჯგუფისათვის. კარპოვმა თავისი ავტომატი შეამოწმა. ოთხი მთელი პური მოიკიდა და ხოხვით გაემართა ბუჩქებით და წვრილი ტყით საკომანდო პუნქტისაკენ. ძალიან ფრთხილობდა მებრძოლი, მაგრამ მაინც წააწყდა გერმანელებს. კარპოვი მინდორზე რომ გადარბოდა, მას მოულოდნელად აუტეხა სროლა მტრის ოთხმა მეავტომატემ.

კარპოვმა გადასწყვიტა გადაეყარა პური და ბრძოლა გაემართნა გერმანელებისათვის. მაგრამ შემდეგ სწრაფად შესცვალა თავისი გადაწყვეტილება. მან თავი დაჭრილად მოაჩვენა, ბორძიკით გაემართა, პურს მინდორზე ჰყრიდა და, ვითომდა ტკივილისაგან ღონემიხდილი, უახლოეს ბუჩქთან დაეცა. აქ ის გაინაბა და ცდა დაიწყო. რამდენიმე წუთის შემდეგ გერმანელები საფარიდან გამოვიდნენ; ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსი მოჰკლეს, და წელში გამართული მოდიოდნენ. კარპოვსაც სწორედ ეს უნდოდა. მან მარჯვედ დაუშინა ავტომატის ჯერი. ბრძოლა დამთავრდა.

— ასე,—გულდამშვიდებით სთქვა მოხერხებულმა მებრძოლმა, მხარზე გადაიკიდა გერმანელთაგან დავლად წამოღებული ავტომატები, შემდეგ პური წამოკრიფა და მშვიდობით მიიტანა ბატალიონში.

ვ. სობოლევი

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

დავაჩქაროთ მოსავლის აღება, გალეწვა. დროულად შევასრულოთ პურის დამზადების გეგმები

გავაძლიეროთ ლეწვის ტემპები

თელავი („კომუნისტის“ კორ.). რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ თავი ისახელა მოსავლის ორგანიზებულად აღების საქმეში. სოფ. წინანდლის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობამ ვადამდე აიღო თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი. კოლმეურნე მარგო ბეჟუაშვილი მკის დღიურ ნორმას 150 პროცენტით ასრულებდა, ქეთო ლობჟანიძე კი ორმაგად. თამარ ელიზბარაშვილს 4 ვაჟი [illegible]

მაგრამ ზოგან პურის დროულად დაზვინვას, ლეწვას და გადაზიდვას ჯერ კიდევ არ ექცევა სერიოზული ყურადღება. სოფ. კონდოლის და ბუშატის კიროვის სახელობის კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა დაუდევრობით აქ ადგილი ჰქონდა მარცვლეულის დანაკარგს. კონდოლის კოლმეურნეობამ მინდვრიდან ძნები კალოზე დროულად არ მიზიდა, გააჭიანურა პურეულის დაზვინვა და გალეწვა. ბუშატის [illegible]

... ჩააბარა 500 ცენტნერი მარცვლეული. მოსავლის აღებაზე კარგად იმუშავა აგრეთვე სოფ. ვანთის კოლმეურნეობა „ჩვენმა იმედმა“.

... თონ, რომ უზრუნველჰყონ ლეწვის დაჩქარება.

გ. ცხადაძე

მარცვლეულს აბარებენ წითელი არმიის პურის ფონდში

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობები წარმატებით აბარებენ მარცვლეულს წითელი არმიის პურის ფონდში. სოფ. შრომის კოლმეურნეობებმა წითელი არმიის პურის ფონდში უკვე ჩააბარეს 1.200 კილოგრამი ხორბალი, სოფ. მელანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ—100 კილოგრამი, ხოლო სოფ. ყანდაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ—1.500 კილოგრამი. პურის ჩაბარება გრძელდება.

ს. შაქარაშვილი

გავაძლიეროთ ბრძოლა დანაკარგის წინააღმდეგ

ჭიათურა („კომუნისტის“ კორ.). ჭიათურის რაიონში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი წელს განსაკუთრებით ბარაქიანია. პურის უხვი მოსავალი მიიღეს სოფ. ზედაუსახელოს სტალინის სახელობისა და სოფ. რცხილათის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებმა. მათ 7 დღეში და უდანაკარგოდ აიღეს მოსავალი. კოლმეურნეები პირველ რიგში იღებდნენ თავდაცვის ჰექტარების მოსავალს. ამჟამად რაიონში წარმატებით მიმდინარეობს პურის ლეწვა.

მოსავლის აღებაში მიღწევებთან ერთად არის ნაკლოვანებანი. ეს განსაკუთრებით ეხება დანაკარგს. ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელი საკმაო ყურადღებას არ აქცევს დანაკარგის წინააღმდეგ ბრძოლას. სოფ. პერევისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში გააჭიანურეს მოსავლის აღება, ამას კი თან სდევს დანაკარგი. სოფ. ჭალევის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში პურის თავთავი როცა გადამწიფდა, მკა მაშინ გააჩაღეს.

დანაკარგს ვხვდებით სოფ. ითხვისის ვოროშილოვის სახელობის, ჩხირაულის კაგანოვიჩის სახელობის, სოფ. ვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში.

სამხედრო მოსავლის აღებისას დანაკარგი დანაშაულია, სახელმწიფოს ღალატია. მოსავალი სწრაფად და უდანაკარგოდ უნდა ავიღოთ.

პ. ჭიოკაძე

საშემოდგომო ნათესები გეგმის გადამეტებით

თელავი („კომუნისტის“ კორ.). კოლმეურნეები მხურვალედ გამოეხმაურნენ ტულის ოლქის სერებრიანიე პრუდის რაიონის კოლმეურნეობა „ზარიას“ წევრთა მოწოდებას გეგმის გადამეტებით თავდაცვის ფონდისათვის საშემოდგომო კულტურების დათესვის შესახებ.

სოფ. კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გადასწყვიტეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 260 ჰექტარისა საშემოდგომო კულტურები დათესონ 290 ჰექტარზე, სოფ. ვარდისუბნის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა აღნიშნული წერილის განხილვასთან დაკავშირებით იკისრეს გეგმის გადამეტებით საშემოდგომოდ დათესონ 20 ჰექტარი, ამავე სოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა გეგმის ზევით დათესავს 15 ჰექტარს, ხოლო მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა — 10 ჰექტარს.

ჩაის პლანტაციებში მებრძოლურად მუშაობენ

ქობულეთი („კომუნისტის“ კორ.). რაიონის ჩაის პლანტაციებში სოცშეჯიბრების მონაწილე კოლმეურნე ქალები მებრძოლურად მუშაობენ. სოფ. ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში აიშე გოგიტიძე, პაკა კირჩხელი, გულიზარ ცივაძე ჩაის ფოთლის კრეფის დღის დავალებებს ოთხმაგად ასრულებენ. აქვე მეშვიდე კლასის ფრიადოსანი მოსწავლე მერი თამაზაშვილი დღეში 100 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს. წელს ჩაის კრეფაზე მან უკვე გამოიმუშავა 95 შრომადღე.

სოფ. ზენითის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის საუკეთესო სტახანოველებად ითვლებიან გული ღლონტი და მეხფულე გიორგაძე, რომლებიც გეგმებს სისტემატურად 400-400 პროცენტით ასრულებენ. ერთ დღეს ისინი დილაადრიან გავიდნენ ჩაის საკრეფად, დაუღალავად იმუშავეს, თითოეულმა 500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა და გეგმა 3.125 პროცენტით შეასრულა. იმ დღეს ორივე სტახანოველმა 90 შრომადღე გამოიმუშავა.

ჩაის ფოთლის კრეფის დღიურ დავალებებს სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებენ აგრეთვე სოფ. ხუცუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ს. მეგრელიძე, ხ. ბაქუნაიშვილი, უ. წერეთელი და ლ. ბაუჟაძე, გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობაში ხ. მესხიძე, მახარაძე, ს. ზაქარიაძე და გ. შაქარიშვილი, ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში გირკელიძე, ხ. ვასაძე, გ. ცეცხლაძე, ა. ხახუტიშვილი და შ. გოგიტიძე.

ცნობილმა სტახანოველმა ნატალია კაზნაჩეევამ და მარია რემენოვამ ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში ივლისში 5 ტონა და 800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფეს. ისინი ჩაის კრეფის დღიურ დავალებებს 500-550 პროცენტით ასრულებენ.

ს. ყურაშვილი

რკინიგზელები ეხმარებიან საშეფო მტს-ს

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის გურჯაანის კვანძის მუშაკებმა, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას, სხვა ვალდებულებების შესრულებასთან ერთად იკისრეს დახმარება გაეწიათ გურჯაანის მტს-ისათვის მანქანა-იარაღების შეკეთებაში.

რკინიგზის კვანძის მუშაკები სახელოვნად ასრულებენ დაპირებას. საორთქლმავლო დეპოს ზეინკალმა ამხ. არჩილ კვირიაშვილმა სოფ. შრომაში შეაკეთა ერთი კომბაინი და მას რამდენიმე რთული დეტალი გაუკეთა. ამხ. კვირიაშვილმა იმუშავა აგრეთვე მტს-ას სახელოსნოში სხვადასხვა მანქანა-იარაღების შეკეთებაზე.

კომბაინებისა და ტრაქტორების შეკეთებაში დიდი დახმარება გაუწიეს მტს-ს მე-19 სალიანდაგო დისტანციის ელექტროშემდუღებელმა ნ. ჩირიკაშვილმა და მონტიორმა გ. ჯინაშვილმა.

გურჯაანის კვანძის რკინიგზელები პირობას იძლევიან, რომ კიდევ უფრო მეტ დახმარებას გაუწევენ საშეფო მტს-ს სამხედრო მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებაში.

ნ. კეველიშვილი

ორი დეკადის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

თბილისის პირველმა სამკერვალო ფაბრიკამ (დირექტორი ამხ პ. ქართველიშვილი) აგვისტოს ორი დეკადის საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულა, ახალ მუშებს შორის საუკეთესოდ ჩაატარა ტექმინიმუმის სწავლება და საგრძნობლად შეამცირა დაზგების ადგილობრივი მიზეზით გაცდენის შემთხვევები.

აგვისტოს მეორე დეკადაში გეგმების შესრულებაში მთელი რიგი საამქროები დაწინაურდნენ. მეხუთე შემკერავმა საამქრომ დეკადის გეგმა 132 პროცენტით შეასრულა, მეორე საამქრომ — 107,7 პროცენტით და სხვ.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ფაბრიკის მოწინავე ადამიანები. საკერავ მანქანაზე მომუშავე თამარ კუძიევამ მეორე დეკადის გეგმა 345 პროცენტით შეასრულა, მკერავმა ნინო ტაბუციძემ — 226,9 პროცენტით, დარიკო გარუჩევამ — 286,6 პროცენტით, კატო მამულაშვილმა — 236,9 პროცენტით, ვარა სტეფანოვამ — 219,6 პროცენტით და სხვ.

მეოთხე საამქროს აგრეგატში, რომელსაც ამხ. ვაშაკიძე ხელმძღვანელობს, რამდენიმე მუშა გეგმას ვერ ასრულებდა. საამქროსა და აგრეგატის ხელმძღვანელობამ ჩამორჩენილი მუშები მოწინავეებს მიამაგრა. რამაც საუკეთესო შედეგი გამოიღო. მკერავ პაშა ლაგარინას, რომელიც ნორმებს ვერ ასრულებდა, მოწინავე მკერავი ამხ. დუდუჩავა დაეხმარა. ამხ. ლაგირინა ახლა ყოველდღიურ დავალებას 109 პროცენტით ასრულებს. მკერავი სარაბიანი ამხ. ბერიძესთან მიმაგრების შემდეგ გეგმას 188 პროცენტით ასრულებს. ასეთი მაგალითები ფაბრიკაში ბევრია.

ბავშვები მონებად მიჰყავთ

ერთ-ერთი გვარდიული ავიანაწილის ტექნიკოსმა წერილი მიიღო შვილისაგან, რომელიც გერმანელების მიერ დაპყრობილ უკრაინაში დარჩა. ამ წერილის შინაარსი ნაწილის ყველა გვარდიელმა გაიგო. ტექნიკოსის მწუხარებას ყველა მისი თანამებრძოლი განიცდის. აი რასა სწერს მამას მისი ვაჟი იგორი:

„მამა, ჩემო საყვარელო მამიკო, სადა ხარ, ჩემო ძვირფასო! ჩემი წერილი სულერთია მოაღწევს შენამდე. შენ მას წაიკითხავ. გუშინ 13 წელი შემისრულდა. ჩემი დაბადების დღე ისე არ იყო აღნიშნული, როგორც ხალხი აღნიშნავს ხოლმე მას, სულ სხვანაირად იყო აღნიშნული. ამ დღეს დედა მოგვიკლეს. იგი ჩვენი ჭის ახლოს მოჰკლეს. ის წყალს იღებდა; მთვრალი გერმანელი ჯარისკაცი მივიდა მასთან, პერანგში ხელი ჩაავლო და იქვე მოჰკლა. როცა დედაჩემი წაიქცა, ჯარისკაცი მიწაზე გაწვა და შაშხანის სროლა დაუწყო წყლით სავსე ვედროებს. წყალი ვედროებიდან ნაკადებად გადმოსკდა. ჯარისკაცი ამის დანახვაზე ხმამაღლა იცინოდა.

ჩემო საყვარელო მამიკო, ნუ გამიჯავრდები იმისათვის, რომ ვერ მოვკალი ეს საზიზღარი გერმანელი! მე მოვემზადე იმისათვის, რომ თავში დამეკრა ცული, მაგრამ ხელი მტაცეს და მოკვლა დამიპირეს. დღეს კი ჩემი ასაკის ყველა ბიჭსა და გოგონას უთხრეს, რომ ჩვენ ნორვეგიაში გაგვგზავნიან თევზის კონსერვის ფაბრიკებში. ახლა ჩვენ საპატიმროში ვყევართ. ჩემთან ერთად არიან ვანია, ვოლოდკა, გრიშკა. შენ მათ იცნობ. ჩვენი სოფელი გადასწვეს.

მამიკო, მე სულ ერთია გამოვიქცევი ნორვეგიიდან და გიპოვნი. მე უკვე სავსებით დიდი ვარ, ყველაფერი მესმის. ჩვენ უკვე ვეღარ დავიბრუნებთ ჩვენს დედიკოს, მაგრამ სულ ერთია იმის შურს მაინც ვიძიებთ. ამ წერილს მოხუცი კირეევი გადმოგცემს. ჩემი სიტყვები გაურკვევლად არის დაწერილი. მაგრამ მე ვჩქარობ, სანამ ახლოს არ არის გერმანელი გუშაგი. შენი შვილი იგორი“.

ამ წერილის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ გვარდიელებმა გაზეთებში წაიკითხეს, რომ, ლონდონში მყოფ ნორვეგიელთა წრეების მიერ მიღებული ცნობებით, გერმანელები ოკუპირებული საბჭოთა რაიონებიდან ძალით წაყვანილ 8-დან 17 წლამდე ასაკის ბიჭებს აიძულებენ სამუშაოზე იყენებენ ბუდეს (ნორვეგია) თევზის კონსერვის ფაბრიკაში. ეს ბიჭები მძევლებად იყვნენ წაყვანილი ოკუპირებული საბჭოთა სოფლებიდან და ნორვეგიაში გაგზავნამდე მათ რამდენიმე თვე დაჰყვეს საპატიმროში.

მფრინავო, ტექნიკოსო, მოტორისტო! წაიკითხე მონობაში ჩაგდებული ბავშვის წერილი, წაიკითხე და შური იძიე 13 წლის ბიჭიკო იგორისათვის, ყველა საბჭოთა ჭაბუკისათვის, რომელიც მონურ შრომაში ჩააბეს გერმანელებმა ნორვეგიაში.

(21 აგვისტოს „სტალინსკი სოკოლი“).

საჰაერო ბრძოლა ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავით

მოქმედი არმია, 22 აგვისტო (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ბომბდამშენის ეკიპაჟი უფროს პოლიტხელ ჩერნოვის მეთაურობით საბრძოლო დავალებას ასრულებდა. გერმანელთა საზენიტო ბატარიებმა გააფთრებული სროლა აუტეხეს თვითმფრინავს. მანქანას ცეცხლი მოეკიდა. მაგრამ ეკიპაჟი უკან არ გაბრუნდა და თავისი გზა განაგრძო.

ცეცხლმოკიდებულ თვითმფრინავზე იერიში მიიტანა ოთხმა „მესერშმიტ-109“. ბომბდამშენმა ბრძოლა გაუმართა მტრის ავიაგამანადგურებლებს. ამ არაჩვეულებრივი ბრძოლის მოწმენი იყვნენ სახმელეთო ნაწილის მებრძოლები. რომლებიც საბრძოლო დაცვას ეწეოდნენ. ფაშისტთა ორი თვითმფრინავი ერთიმეორის მიყოლებით დაეცა მიწაზე. „მესერშმიტები“ გზიდან ჩამოდგნენ. ბომბდამშენი მიზნისაკენ გაემართა. გაიღო საკეტები, და ყუმბარები მტრის სიმაგრეებს დაეცა. ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავი პიკით დაეშვა და დაიმსხვრა.

ე. კაპლანსკი

რუზველტის განცხადება უილკის საბჭოთა კავშირში და ახლო აღმოსავლეთში გამგზავრების შესახებ

ვაშინგტონი, 22 აგვისტო (საკდესი). რუზველტმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ რესპუბლიკური პარტიის ყოფილი კანდიდატი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე (1940 წლის არჩევნებში) უილკი საბჭოთა კავშირსა და ახლო აღმოსავლეთს ეწვევა, როგორც პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენელი. საბჭოთა კავშირს გარდა, უილკი ეწვევა თურქეთს, ეგვიპტეს, არაბეთს, პალესტინას, სირიას, ერაყსა და ირანს. შემდეგ რუზველტმა აღნიშნა, რომ უილკი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს უამბობს სიმართლეს ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებულ და ყოვლისშემცველ სამხედრო ღონისძიებათა შესახებ. უილკის განცხადებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება, რადგან იგი უმცირესობის ლიდერია. რუზველტმა აღნიშნა, რომ ღერძის სახელმწიფოები ახლო აღმოსავლეთში ბევრ ჭორს ავრცელებენ, რომლებიც არასწორად გამოხატავენ ამერიკის შეერთებული შტატების მდგომარეობას. ღერძის სახელმწიფოები თავიანთი პროპაგანდით მეტად აზვიადებენ საგადასახადო მოძრაობასა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა სიძნელეებს.

რუზველტმა განაცხადა, რომ მან წინადადება მისცა უილკის განიხილოს აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ რა გავლენას მოახდენს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე გაერთიანებული ქვეყნების გამარჯვება ან ღერძის სახელმწიფოთა გამარჯვება. რუზველტის აზრით, ნეიტრალურმა ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ რა მოელით მათ ომის დამთავრების შემდეგ, თუ ღერძის სახელმწიფოები გაიმარჯვებენ, მაშინ ნეიტრალური ქვეყნები უბრალო მარიონეტულ სახელმწიფოებად გადაიქცევიან, რომლებიც გერმანიისა და იტალიის სრული კონტროლის ქვეშ იქნებიან. თუ გაერთიანებული ქვეყნები გაიმარჯვებენ, მაშინ ნეიტრალურ ქვეყნებს შესაძლებლობა ექნებათ დაიცვან თავიანთი ეკონომიკა და დამოუკიდებლობა და წინ წაიწიონ ატლანტის ქარტიის პრინციპების საფუძველზე. ნეიტრალურმა ქვეყნებმა უნდა შეიგნონ ღერძის სახელმწიფოების გამარჯვების შედეგები, აგრეთვე გაერთიანებული ქვეყნების გამარჯვების შედეგები. დასასრულ, რუზველტმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჯერჯერობით არასაკმაოდ ნათლად განუმარტეს ეს თვალსაზრისი ახლო აღმოსავლეთის მთავრობებსა და ხალხებს.

უილკის განცხადება

ლონდონი, 21 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ნიუ-იორკელი კორესპონდენტი იუწყება, პრეზიდენტის არჩევნებში რესპუბლიკელთა პარტიის ყოფილმა კანდიდატმა უილკიმ გუშინ რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც მთელს ამერიკას გადაეცა. ამ სიტყვაში უილკიმ განაცხადა: „თუ ჩვენ განზრახული გვაქვს მოვსპოთ ჩვენი მტრები, მაშინ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ ვიბრძოლოთ და თავი დავდოთ ჩვენი საქმისათვის. ძალიან ბევრი ჩვენგანი ფიქრობს, რომ ეს ომი მხოლოდ ქვემეხების, თვითმფრინავებისა და წარმოების ომია, და რომ ჩვენ შეგვიძლია მარტო იმით მოვიგოთ ომი, რომ ღერძის სახელმწიფოთა წარმოებას გადავაჭარბებთ. მარტო ამ გზით ომს ვერ მოვიგებთ, თუ ქვემეხების, თვითმფრინავებისა და ტანკების წარმოებას ზურგს არ გაუმაგრებს ძლიერი და ურყევი ერთგულება ჩვენი საქმისადმი".

ბრაზილიის მთავრობამ გადასწყვიტა ომი გამოუცხადოს ღერძის სახელმწიფოებს

ლონდონი, 22 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ბრაზილიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ომი გამოუცხადოს ღერძის სახელმწიფოებს, თუმცა ფორმალური დეკლარაცია ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული. ცნობაში აღნიშნულია, რომ ბრაზილიას ამ საკითხზე კონსულტაცია ჰქონდა ამერიკის თორმეტ სხვა რესპუბლიკასთან.

ჩილის მთავრობის პროტესტი გერმანელების მიერ ბრაზილიის ხომალდების ჩაძირვის გამო

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ჩილის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბაროს ჰარპამ ჩილის ბერლინელი ელჩის საშუალებით ენერგიული პროტესტი გადასცა გერმანიის მთავრობას ბრაზილიის ხომალდების ჩაძირვის გამო.

ჩილის პრეზიდენტმა რიოსმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მოუწოდებდა ჩილის ხალხს „მზად იყოს ყოველგვარი მოულოდნელობისათვის, რომელმაც შესაძლოა თავი იჩინოს ახლანდელ მღელვარე პერიოდში".

დიეპზე მოწყობილი რეიდის გამო

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, რომ ამერიკის სამხედრო წრეები მოკავშირეთა მიერ დიეპის რაიონზე მოწყობილ რეიდს ისე უყურებენ, როგორც ევროპაში მეორე ფრონტის განხორციელების შესაძლებლობის ახალ დამამტკიცებელ მოვლენას. შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მთლიანად ამერიკის პრესა მიესალმება მოკავშირეთა რეიდს, როგორც იმის მაჩვენებელს, რომ სულ უფრო და უფრო ძლიერდება შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეტევითი სულისკვეთება.

სტოკჰოლმი, 21 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „სოციალ-დემოკრატენი" მოწინავე სტატიაში სწერს: „დიეპზე მოწყობილმა რეიდმა ცხადჰყო, რომ დესანტის გადასხმის ოპერაციის განხორციელება შესაძლებელი საქმეა, თუმცა უკანასკნელ ხანს გერმანიის პროპაგანდა საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. ეს ოპერაცია ძვირფასი ცდაა, რომელმაც გერმანელები უნდა ჩააფიქროს".

ინგლისის ხომალდების მიახლოვებისას ჰიტლერელებს შორის პანიკა ატყდა

ლონდონი, 21 აგვისტო (საკდესი). ლონდონის ნორვეგიულ წრეებში მიღებულია ცნობები, რომ მიმდინარე წლის მაისში, როცა სანაპიროსთან ინგლისის გემების ქარავანი იქნა შემჩნეული, ტრონჰეიმში პანიკა ატყდა გერმანელებსა და კვისლინგელებს შორის. როგორც კი გაისმა საერთო განგაშის სიგნალი, ქალაქში ჩოჩქოლი ატყდა. თვითმხილველი ჰიტლერელები სასწრაფოდ სწვავდნენ საიდუმლო დოკუმენტებს. კვისლინგელების პარტიის წევრები თავიანთ პარტიულ ნიშნებს იგლეჯდნენ და ჯემოდნებში აწყობდნენ. გერმანელები ღორებს ჰხოცავდნენ და საბარგო მანქანებზე ტვირთავდნენ. გაქცეულმა გერმანელებმა და კვისლინგელებმა მხოლოდ მეორე დღის საღამოს დაიწყეს ქალაქში დაბრუნება.

ესპანეთში დაძაბული მდგომარეობაა

ლონდონი, 22 აგვისტო (საკდესი). ესპანეთიდან ეს-ეს არის ჩამოსულ პირთა განცხადებით, ესპანეთში არასოდეს არ ყოფილა ასეთი დაძაბული მდგომარეობა, როგორც ახლაა. დაახლოებით ერთნახევარი მილიონი რესპუბლიკელი საპატიმროში იმყოფება. მათი ნათესავები და მეგობრები მხოლოდ ნაწილს შეადგენენ მტრულად განწყობილი ძალებისას, რომლებიც ფრანკოს რეჟიმს ემუქრებიან. ყოველდღე ხდება დაპატიმრებულთა დახვრეტა. ამას წინათ დახვრეტილ იქნა 500 კაცი. ასტურიის მთებში ბრძოლა გრძელდება. ფაშისტთა ჯარებმა ძალა არ შესწევთ შევიდნენ რესპუბლიკელთა პარტიზანული რაზმების გამაგრებულ რაიონებში.

ვიშის მთავრობამ ესპანელი რესპუბლიკელები გადასცა გერმანელებს

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო (საკდესი). როგორც სანტ-იაგოდან (ჩილი) იუწყებიან, რესპუბლიკური ესპანეთის ყოფილმა ელჩმა ჩილეში სორიანომ განაცხადა, რომ, მის მიერ მიღებული სარწმუნო ცნობების თანახმად, ვიშის მთავრობამ გერმანიაში გაგზავნა 12 ათასი ესპანელი რესპუბლიკელი ლტოლვილი გერმანიის საწარმოებში იძულებით სამუშაოზე.

ჰოლანდიელი პატრიოტები ჰიტლერელი ჯალათების წინააღმდეგ იბრძვიან

ნიუ-იორკი, 19 აგვისტო (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, გერმანელებმა ჰოლანდიაში კიდევ დააპატიმრეს, როგორც მძევლები, 222 ცნობილი ჰოლანდიელი. როგორც ფიქრობენ, მზადდება ახალი მასობრივი სიკვდილით დასჯა. უკვე დასაჯეს სიკვდილით ჰოლანდიელ პატრიოტთა არალეგალური მოძრაობის ცნობილი ლიდერი მერი ლებასი. ამ რეპრესიების მიუხედავად, სულ უფრო და უფრო მეტ გერმანელ ჯარისკაცს პოულობენ მოკლულს ან მძიმედ დაჭრილს. ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ჰოლანდიელმა პატრიოტებმა გერმანელთა 40 საქონლის მატარებელი გადააგდეს ლიანდაგიდან, დასწვეს 5 თვითმფრინავი, მოსპეს სამხარო მასალების საწყობი, დასწვეს სასურსათო საწყობი და 3 სატვირთო მანქანა საჭურველიანად.

„ჩვენ უფლება არა გვაქვს ამაზე მეტი ვიცადოთ"

ინგლისის პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მეორე ფრონტის შექმნისაკენ მოუწოდებენ

ლონდონი, 22 აგვისტო (საკდესი). გრძელდება კონფერენციები და მიტინგები მეორე ფრონტის გახსნის ლოზუნგით. სხვადასხვა ორგანიზაციები პრემიერ-მინისტრს უგზავნიან წერილებსა და დეპეშებს, რომლებითაც მოუწოდებენ ევროპის კონტინენტზე დაუყოვნებლივი შეტევითი ოპერაციების ორგანიზაციისაკენ. ბირმინჰემში მცხოვრებმა ინგლისელი ჯარისკაცების ცოლებმა და ნათესავებმა ჩერჩილს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ ახლა ვიცით, რომ, რაც უფრო მეტხანს გადაიდება მეორე ფრონტის გახსნა, მით უფრო იზრდება მსხვერპლი, რომელიც მოაქვთ ჩვენს ოჯახებს, ჩვენს სახლეულს რუს მოკავშირეებს. ჩვენ უფლება არა გვაქვს ამაზე მეტი ვიცადოთ. მოგიწოდებთ თქვენ ულმობლად გაუსწორდეთ ინგლისში იმ ხალხს, რომელიც ცდილობს გამარჯვების გზა გადაგვიღობოს. შეჰქმენით, მისტერ ჩერჩილ, მეორე ფრონტი, და მთელი ინგლისი დაგიჭერთ მხარს".

ინგლისის პარლამენტის წევრმა პრიტმა მელბურნიდან დეპეშა მიიღო ავსტრალიელი ახალგაზრდობის ორგანიზაციისაგან. „1942 წელს გამარჯვების მისაღწევად,—ნათქვამია დეპეშაში, — ავსტრალიელი ახალგაზრდობა მხარს უჭერს ინგლისის ახალგაზრდობის მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ გაიხსნას მეორე ფრონტი ევროპაში".

„მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ გახსნა გამარჯვებას დააჩქარებს"

ამერიკელ ადვოკატთა ორგანიზაციის დეპეშა რუზველტისადმი

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო (საკდესი). „ადვოკატთა ნაციონალური ლიგის" აღმასრულებელმა კომიტეტმა რუზველტს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოუწოდებს დაუყოვნებლივ შეჰქმნას მეორე ფრონტი ევროპაში. ამ დეპეშაში ნათქვამია: „სავსებით შეგნებული გვაქვს, თუ რა მსხვერპლს მოითხოვს მეორე ფრონტის გახსნა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ საფრთხე, რომელიც დაუსრულებელ აუჩქარებლობას მოაქვს, ბევრად უფრო სჭარბობს შეტევითი მოქმედების რისკს".

„ჩვენ იმიტომ მოვედით არმიაში, რომ ვიბრძოლოთ"

ამერიკის საარმიო გაზეთის სტატია

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო (საკდესი). ბევრი ამერიკელი ჯარისკაცის წერილი, რომელიც საარმიო გაზეთებში ქვეყნდება, იმას მოწმობს, რომ ამერიკის არმიის ჯარისკაცები მოუთმენლად მოელიან იმ დროს, როცა მათ შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ შეტევითს ოპერაციებში. საარმიო გაზეთი „იანკი", რომელსაც ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები სცემენ და რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბანაკებში, მოწინავე სტატიაში, რომლის სათაურიც არის „ყველას, ვისთვისაც ჯერ არის ამის ცოდნა", სწერს:

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ დადგა დრო დავსვათ მეტად უბრალო კითხვა: „როდის ვიომებთ?" ჩვენ ჯარისკაცები ვართ და უკვე მრავალი თვეა უმოქმედოდ ვსხედვართ, ამ კითხვაზე პასუხს ვუცდით, რომელიც აქამდე ჯერ კიდევ არ მიგვიღია. ამავე დროს ჭრილობები, რომელსაც მსოფლიოს აყენებენ, სულ უფრო და უფრო ღრმავდება. ჩვენ ჩვენი ქვეყნის ერთგული ჯარისკაცები ვართ. ჩვენ ყველას საერთო ზრახვები და საერთო მიზანი გვაქვს. ჩვენ გვეგონა, რომ წარმოების გაფართოების გზით შეიძლება ომის მოგება. წარმოების მხრივ ჩვენში ყველაფერი რიგზეა. რასაკვირველია, ჩვენ თვითმფრინავები, ზარბაზნები და ტრანსპორტი გვესაჭიროება იმისათვის, რომ ომი მოვიგოთ. ჩვენ ვიცით, თუ რა ძნელია ფრონტების გახსნა, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ არმიაში იმისათვის მოვედით, რომ ვიბრძოლოთ. ჩვენ ვიცდიდით და ვიცდით.

საზღვაო ქვეითს ჯარს უკვე ჰქონდა შესაძლებლობა პირველი დარტყმა ევემებინა მტრისათვის სოლომონის კუნძულებზე. ჩვენმა ფლოტმა არაერთი დარტყმა აგემა ღერძის სახელმწიფოებს მსოფლიოს ყველა ნაწილში. ჩვენმა ავიაციამ მტრის ზოგიერთი სამხედრო სიმაგრე მოსპო. მაგრამ მარტო ეს მოქმედება საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ომი მოვიგოთ. ჩვენ ვიცით, რომ ყველაზე უფრო მეტი ტვირთი არმიას უნდა დაეკისროს, მაგრამ მას ჯერჯერობით საშუალება არ მისცეს გამოეჩინა თავი. ჩვენთვის გასაგებია, რომ ომს ვერ მოვიგებთ, თუ უშუალო მონაწილეობას არ მივიღებთ მასში. რასაკვირველია, ახალი ფრონტის გახსნა ადვილი არ არის. მაგრამ, როგორც ჯარისკაცები, ჩვენ ვაცხადებთ: არმიაში იმისათვის მოვედით, რომ ვიომოთ. მაშ, გვითხარით, ღვთის გულისათვის, როდის ვიომებთ?"

ჰიტლერული გაზეთის შავი ფიქრები

სტოკჰოლმი, 22 აგვისტო (საკდესი). ჰიტლერის გაზეთმა „დას შვარცე კორპსმა" მოათავსა მოწინავე სტატია, რომლის დანიშნულებაა მოამზადოს მოსახლეობა მძიმე მსხვერპლისა და განსაცდელისათვის. გაზეთი ომის მსვლელობის მიმოხილვას იძლევა და გულახდილად აშკარავებს, თუ როგორ ხედიხედ იმსხვრეოდა ჰიტლერის სტრატეგიული გეგმები და, უწინარეს ყოვლისა, ელვისებური ომის ვარაუდი.

„იმ დღეს,—სწერს გაზეთი,—როდესაც გერმანიის ხალხმა გაიგო, რომ პეტენმა გადასწყვიტა იარაღი დაეყარა, გერმანელთა უმრავლესობას, მცირეოდენ გამონაკლისს გარდა, ეგონა, რომ არასოდეს არა ვყოფილვართ გამარჯვებაზე ისე ახლო როგორც ახლაო. მაშინ, თითქოს, მარტო ერთი სერიოზული მოწინააღმდეგე იყო—ინგლისი. თუ შესაძლებელი გახდა რამდენიმე კვირის განმავლობაში საფრანგეთის—ყველაზე უძლიერესი კონტინენტური სახელმწიფოს—დამარცხება მის ინგლისელ, ბელგიელ და ჰოლანდიელ თანაშემწეებთან ერთად, მაშასადამე, შეიძლებოდა ევე არა გვქონოდა, რომ ინგლისიც მალე დამარცხდებოდა".

გაზეთი აღიარებს, რომ გერმანელებს მაშინ ინგლისის კაპიტულაციის იმედი ჰქონდათ. მაგრამ „ინგლისელებმა კაპიტულაციის შესახებ მიცემული წინადადება უკუაგდეს და აგრძნობინეს, რომ ისინი მზად არიან უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოლონ".

გაზეთი აღნიშნავს: გერმანელებს იმედი ჰქონდათ, რომ 1940 წლის შემოდგომაზე თავიანთი გააფთრებული საჰაერო თავდასხმებით ინგლისის წინააღმდეგობას გასტეხდნენ და წანამძღვარს შეჰქმნიდნენ ინგლისის კუნძულებზე შეჭრისათვის. შეჭრა რომ ვერ მოხერხდა,—აღიარებს გაზეთი,—ამან იმედი გაუცრუა გერმანელ ხალხს და ჰიტლერისადმი ნდობა შეამცირა. „შეიძლება ითქვას,—სწერს გაზეთი,—რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შეგვიგნია, თუ რა მძიმე იყო ფიურერისათვის დუმილი, რაც ხალხის ნდობის გამოცდას წარმოადგენდა". შემდეგ „დას შვარცე კორპსი" აღიარებს: გერმანიის საბოლოო ვარაუდი, რომ სწრაფად განახორციელებდა თავის სამხედრო გეგმებს, სსრ კავშირზე თავდასხმასთან დაკავშირებით ჩაიშალა. „მანამდე,—ნათქვამია სტატიაში,—ჩვენ ომს ისე ვუყურებდით, როგორც დროებითს მოვლენას. დღეს ჩვენ ომს შევურიგდით, სკივრში შევინახეთ მშვიდობიანობის იმედები და გულმოდგინედ დავაყარეთ ზედ ნავთალინი. ახლა ჩვენ ვეღარ გაგვალიზიანებენ პესიმისტები".

მდგომარეობა ინდოეთში

ლონდონი, 22 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინდოეთის მთელ რიგ რაიონებში იმართებოდა დემონსტრაციები ქუჩებში და ხდებოდა შეტაკებები. ინდოეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ახალი განკარგულება, რომლის თანახმადაც გაფიცვები და ლოკაუტები უკანონოდ ჩაითვლება, თუ ორი კვირით ადრე არ იქნება გამოცხადებული მათი დაწყება.

ინგლისში სწრაფად იზრდება სამხედრო წარმოება

ლონდონი, 20 აგვისტო (საკდესი). უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში ინგლისში სწრაფად იზრდება სამხედრო წარმოება. თვითმფრინავების გამოშვება, 1941 წლის დასაწყისთან შედარებით, თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა, ტანკებისა და ჯავშნიანი მანქანებისა კი—თითქმის ერთიორად.

ამჟამად ინგლისის გემსაშენები ხომალდს წყალში უშვებენ 30 დღეში მისი ხერხემლის ჩადგმიდან.

საზღვარგარეთ

ჩაძირულია წყალქვეშა ნავი, რომელმაც დაატორპედა ინგლისის ავიოსანი „იგლი" ინგლისის გემთა ქარავანზე თავდასხმის დროს. წყალქვეშა ნავი გატარნა ინგლისის საესკადრო ნაღმოსანმა „იგლის" ჩაძირვიდან 12 საათის შემდეგ.

• • •

ამ დღეებში საოკუპაციო ხელისუფალთა ბრძანებით პარიზის სკვერებსა და ბაღებში მოხსნიან 200 ძეგლს. ძეგლებს გადაადნობენ, რადგან გერმანია ფერადი ლითონების მწვავე საჭიროებას განიცდის.

• • •

აგვისტოს დამლევს იხსნება ახალი ავიახაზი ბუენოს-აირესსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

ბერლინის საავადმყოფოები სავსეა. ახალ ავადმყოფებს, მათ შორის მძიმე ავადმყოფებსაც კი აღარ იღებენ. სულ ახლახანს საავადმყოფოების „წმენდა" მოაწყეს. ავადმყოფებს უმოწყალოდ ჰყრიდნენ გარეთ და გულახდით უცხადებდნენ, რომ ადგილები დაჭრილი ჯარისკაცებისათვის სჭირდებათ.

• • •

საბერძნეთში ყოველდღე 2.000-ზე მეტი კაცი კვდება შიმშილით.

• • •

ბოლივიის პრეზიდენტის განცხადებით, ამერიკის შეერთებულ შტატებს გადაეცემა მთელი სტრატეგიული ნედლეული, მათ შორის კალა, ვოლფრამი, სურმა და კაუჩუკი (საკდესი).

თათბირი პოლიტიკური აგიტაციის საკითხებზე

ქუთაისი („კომუნისტის" კორ.). 20 აგვისტოს ჩატარდა აგიტატორთა, გაზეთის წამკითხველ-მესაუბრეთა, აგიტკოლექტივების და აგიტპუნქტების ხელმძღვანელთა საქალაქო თათბირი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ვითარებაში საგიტაციო მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების საკითხებზე.

საგიტაციო მუშაობაში თავის გამოცდილებაზე ილაპარაკა აგიტპუნქტის ხელმძღვანელმა ამხ. ტყეშელაშვილმა, რომელმაც აგრეთვე აღნიშნა აგიტატორების მიქელაძისა და კილაძის კარგი მუშაობა.

— ჩვენს საგიტაციო უბანში 19 აგიტატორი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. ამხ. ასათიანი, ბალანჩივაძე და სხვ. ყოველდღიურად და სისტემატურად ატარებენ აგიტსაუბრებს,— განაცხადა აგიტპუნქტის ხელმძღვანელმა ამხ. ... ქალაქის რკინიგზის სადგურის აგიტპუნქტის ხელმძღვანელი ისაკაძე შეჩერდა მოწინავე აგიტატორების კვირკველიას და ჭუბლაძის მუშაობის დადებით გამოცდილებაზე. ამასთან მან გააკრიტიკა აგიტატორები ქორიძე და გელაძე.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ვ. ლალიაშვილი.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. სტურუამ.

რ. კინწურაშვილი

ჰერჰნერის ბაქტერიოფაგი

საქართველოს სსრ მიწსახკომის სამეცნიერო-საკვლევო ვეტერინარული სადგური უკანასკნელი ორი წლის მანძილზე აწარმოებდა ცდებს პარატიფით დაავადებული ხბოების სამკურნალოდ ჰერჰნერის ბაქტერიოფაგის გამოსაყენებლად. საგარეჯოს რაიონის ტელმანის სახელობის, თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში და ბორჯომის რაიონის სოფელ ციხისძირში ჩატარებულმა ცდებმა საუცხოო შედეგი გამოიღო. იმ ხბოების 95 პროცენტი, რომლებსაც ჰერჰნერის ბაქტერიოფაგით უმკურნალეს, მთლიანად მორჩა პარატიფისაგან.

რესპუბლიკის საზოგადოებრივი მესაქონლეობის ფერმების ახალი პრეპარატით უზრუნველყოფის მიზნით სამეცნიერო-საკვლევო ვეტერინარულ სადგურთან ეწყობა ჰერჰნერის ბაქტერიოფაგის მწარმოებელი ლაბორატორია. წლის დამლევამდე გამოშვებულ იქნება რამდენიმე ათეული ლიტრი ჰერჰნერის ბაქტერიოფაგი.

დაახლოებითი გამოანგარიშებით ჰერჰნერის ბაქტერიოფაგის დამზადება ბევრად უფრო იაფი დაჯდება, ვინემ იმ ნარევის წარმოება, რომელსაც უკანასკნელ ხანებამდე იყენებდნენ ხბოს პარატიფის მკურნალობის დროს.

ჰერჰნერის ბაქტერიოფაგით ხბოს მკურნალობა და აგრეთვე ამ პრეპარატის დამზადება საბჭოთა კავშირში პირველად ხდება. (საქდესი).

ახალი თეატრალური სეზონის წინ

საოპერო თეატრში

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 1942-43 წლის სეზონს გახსნის 1 სექტემბერს „დაისით". ამ სეზონში ოპერის თეატრი გვიჩვენებს შემდეგ პრემიერებს: ოპერები — ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", ვ. გოკიელის „გელა" შაპორინის „დეკაბრისტები", ვერდის „ოტელო" და მეიერბერის „გუგენოტები"; კლასიკური ოპერეტა—ოფენბახის „მშვენიერი ელენე"; ბალეტი — „გედების ტბა", „დონ-კიხოტი" და გ. კილაძის „ჯამბაკური".

გარდა პრემიერებისა, სეზონის განმავლობაში თეატრი უჩვენებს შემდეგ განახლებულ დადგმებს: ოპერები — „დაისი", „ქეთო და კოტე", „ლადო კეცხოველი", „კაკო ყაჩაღი", „სამშობლო", „ევგენი ონეგინი", „პიკის ქალი", „ღალატი", „ალი", „მეფის საცოლე", „კარმენ", „აიდა", „ტრუბადური", „ტრავიატა", „რიგოლეტო", „ტოსკა", „ჩიო-ჩიო-სან", „სამსონ და დალილა", „სევილიელი დალაქი", „ჯამბაზები", „ფაუსტი", „ვერტერი", „რახილ", „გოფმანის ზღაპრები"; კლასიკური ოპერეტა „ბოშათა ბარონი"; ბალეტი — „მთის გული", „ბახჩისარაის შადრევანი", „შოპენიანა".

გრიბოედოვის თეატრში

გრიბოედოვის თეატრი 1942-43 წლის სეზონს გახსნის 29 აგვისტოს. წარმოდგენილი იქნება ვ. როკის „ინჟინერი სერგეევი". 1 სექტემბერს თეატრი გვიჩვენებს სეზონის პირველ პრემიერას — გორკის „ბარბაროსები". წლის დამლევამდე თეატრს განზრახული აქვს დადგას შემდეგი პიესები: კ. სიმონოვის „რუსი ხალხი", სოლოვიოვის „კუტუზოვი" და ოსტროვსკის „უმზითვო პატარძალი". გარდა ამისა განახლებული იქნება წინა წლების შემდეგი დადგმები: „ინჟინერი სერგეევი", „მაშენკა", „ძაღლი თივაზე", „ავეწაზის სკოლა" და „ლიუბოვ იაროვაია".

ო ი

ხომხური დრამის თეატრი წელს უჩვენებს ოთხ პრემიერას: ვ. როკის „ინჟინერი სერგეევი", კ. სიმონოვის „რუსი ხალხი", პარონიანის „დიდად პატივცემული მათხოვარი", ქაჯვორიანის „დაუდბეგ".

აზერბაიჯანული თეატრი გვიჩვენებს ოთხ ახალ დადგმას: შაზ-ვალადის „გიულშან ანა", ჯაფარლის „უქტაი ელ ოღლუ", ს. ვურღუნის „ფარხად შირინ" და ჰაჯიბეგოვის „აშუღ ყარიბ".

მუსკომედიის თეატრი წლის დამლევამდე გვიჩვენებს შემდეგ პრემიერებს: ჰაჯიბეგოვის „არშინ-მალ-ალან", დანკევიჩის ოპერეტას „ოქროს გასაღები" („უნგერტს ჰამა უნდა"), ნ. მიქავას და გ. აბაშიძის „მსახიობის სიყვარული" და რიაბოვის „კოლომბინა".

სანკულტურის თეატრი ახალი სეზონის პირველ ნახევარში დადგამს ორ პრემიერას: ბრაგინისა და ტოსტონოგოვის „ვერბიცკის ცდებს" და ჩალიძის „მეცნიერება იმარჯვებს".

მოზარდ მაყურებელთა თეატრები 1942-43 წლის სეზონის პირველ ნახევარში დადგამენ შემდეგ პიესებს: **ქართული თეატრი** — სტანისლავსკისა და თემირხანოვის „შურისძიება", ა. აღლაძის „ბროლის სასახლე", შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება", ა. კიკვაძის „ერთი შეცდომა"; **რუსული თეატრი** — კავერინის „სახლი გორაკზე", შჩეგლოვის „გაქცევა", მაკარიევის „ჩექმებიანი კატა", კონეტუვისა და შერვინის „ფლამანდელები" და ოსტროვსკის კომედია; **სომხური თეატრი** — ბეილარიანის „კერი-კუჩი", გაიდარის „თემური და მისი რაზმი", არუთინიანის „სამუელ" და ბრუშტეინის პიესა.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომი აცხადებს, რომ საქ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 2162154, გაცემული შალვა რაჟდენის-ძე ამირანაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომი აცხადებს, რომ საქ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3095664, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მიერ სარიელ ბათაკას-ძე ხანგოშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3723362, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მიერ გიორგი გრიგოლის-ძე გეურქოვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. სტალინის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2851612, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. კიროვის რაიკომის მიერ დავით გიორგის-ძე მეტრეველის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

მუსიკალური კომედიის — 23 აგვისტოს — „არშინ-მალ-ალან". **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — ყოველდღე სახულე ორკესტრი, ჯაზი, ევროპული ცეკვები, კინო ახალი პროგრამით, საბავშვო რკინიგზა, კარუსელი და სხვ. **საქ. სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო ბაღი**—23 აგვისტოს — ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯაზ-ანსამბლის გასტროლი. **პლეხანოვის სახელობის კლუბი**—23 აგვისტოს—დიდი კონცერტი; მონაწილეობენ ქართული ესტრადის საუკეთესო მსახიობები.

ნეკროლოგი

კონსტანტინე ნიკოლაძე

გარდაიცვალა ძველი მწერალი კონსტანტინე ნიკოლაძე. განსვენებული იყო წარსული საუკუნის ქართული და რუსული პრესის დაუღალავი მუშაკი. იგი თარგმნიდა რუს და უცხოელ კლასიკოსებს (პუშკინს, ლერმონტოვს, ნეკრასოვს, დიკენსს და სხვ.).

კონსტანტინე ნიკოლაძე დაიბადა 1860 წ. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა მისი უფროსი ძმა გამოჩენილი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე. შემდეგ განაგრძო სწავლა პეტერბურგის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში. კონ. ნიკოლაძის ლექსები და თარგმანები გაფანტულია ჟურნალ-გაზეთებში—„დროებაში", „ივერიაში", „მოამბეში". მის კალამს ეკუთვნის საგულისხმო ფელეტონები და რამდენიმე ისტორიული ნარკვევი. უკანასკნელად მან დასწერა საინტერესო მემუარები.

შ. დადიანი, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. „მუსიკალური ისტორია". ოქტომბერი — „არინკა". დამკვრელი—„კინოკონცერტი". კომკავშირელი — „პეტკა-ქუხილი". ლუქსემბურგის სახ. — „მტკიცე ხასიათის ქალიშვილი". სპარტაკი — „წითელი ემმაკუნები". კომინტერნი—„უმზითვო პატარძალი". 26 კომ. სახ.—„დუნაიზე".

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

საერთაშორისო მიმოხილვა

(15-დან 22 აგვისტომდე)

უკანასკნელი დღეების უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელმაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მთელს მსოფლიოში და აქამდე მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრშია მოქცეული, იყო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ვ. ჩერჩილისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინის შეხვედრა მოსკოვში.

მოლაპარაკების დროს, რომელშიც მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წარმომადგენელი ჰარიმანი, „მიღებულ იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხება ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომს. ორივე მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მთელი ძალ-ღონითა და ენერგიით აწარმოოს ეს სამართლიანი განმათავისუფლებელი ომი ჰიტლერიზმისა და ყოველგვარი მსგავსი ტირანიის საბოლოო მოსპობამდე".

სწორედ ახლა, როცა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომი გადამწყვეტ სტადიაში შევიდა, სამმა დიდმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ—სსრ კავშირმა, ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა—კვლავ ხაზგასმით აღნიშნეს თავიანთი მჭიდრო მეგობრობა და ურთიერთგაგება „მათ შორის არსებული მოკავშირეობის ურთიერთობის სრული შესაბამისობით". მოსკოვის მოლაპარაკება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია დემოკრატიული ფრონტის ყველა ძალთა გაერთიანებისა იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას საერთო ამოცანა: ჰიტლერული გერმანიის—მთელი კაცობრიობის ამ მოსისხლე მტრის—უსწრაფესად განადგურება. ეჭვი არ არის, რომ ჰიტლერელი არამზადები ძალიან მალე იგრძნობენ მოსკოვის მოლაპარაკების პრაქტიკულ შედეგებს.

გერმანიისა და იტალიის მთელი საპროპაგანდო აპარატი ამჟამად მობილიზებულია იმისათვის, რომ მცირედ მოაჩვენონ მოსკოვის შეხვედრის მნიშვნელობა. გებელსი და მისი თანაშემწეები ტყავში ძვრებიან, წელებზე ფეხს იდგამენ და ცდილობენ სულ ახალ-ახალი არგუმენტები მოიგონონ, რათა რაც შეიძლება მცირედ მოაჩვენონ მოსკოვში შემდგარი თათბირის მნიშვნელობა. მაგრამ რაც უფრო მეტს ცდილობენ ჰიტლერელი პროპაგანდისტები, მით უფრო ნათელი ხდება, რომ მათს მორიგ სიცრუის კამპანიას საფუძვლად უდევს შიში, რასაც ისინი გრძნობენ ორ ფრონტზე ომის საფრთხის გამო, რომელიც სულ უფრო და უფრო უახლოვდება მათ. გერმანიასა და მის მოკავშირეებს ჰიტლერული პროპაგანდის ვერავითარი ჯადო—სიტყვა ვერ გადაარჩენს მოახლოებული ქარიშხლისაგან, რომელსაც დაღუპვა მოაქვს მათთვის.

• • •

დიდი ინტერესი გამოიწვია მთელს მსოფლიოში საფრანგეთის ლა-მანშის სანაპიროზე მოკავშირეთა ჯარების ახალმა საცდელმა გადასხმამ, რომლებმაც იერიში მიიტანეს დიეპის ნავსადგურზე. ეს ოპერაცია თავიდანვე მხოლოდ ისე იყო დაგეგმილი, როგორც მორიგი რეპეტიცია, რის შესახებაც ინგლისის რადიომ მაშინვე, 19 აგვისტოს დილის 6 საათზე, წინდაწინვე შეატყობინა საფრანგეთის მოსახლეობას და გააფრთხილა, რომ ნაადრევად არ გამოსულიყო. მაგრამ, წინა რეპეტიციებისაგან განსხვავებით, დიეპზე იერიშთან ახლდა დიდი საჰაერო ბრძოლები. ამასთანავე სადესანტო რაზმებს ნაპირზე გადაყვანილი ტანკები ეხმარებოდნენ, რასაც კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. დიეპის დესანტის გაკვეთილები მეტად საგულისხმოა. 9 საათის ბრძოლა გერმანელებს თითქმის 200 თვითმფრინავად, სანაპირო არტილერიის ერთ ბატარეად და საზენიტო არტილერიის ერთ ბატარეად დაუჯდათ; მათვე გაუნადგურეს საომარი მასალის საწყობი, დაუნგრიეს რადიოსადგური და სახმელეთო სამხედრო სამსახურის მთელი რიგი ნაგებობანი. ამ ბრძოლამ ცხადჰყო, რომ სანაპიროს გერმანული თავდაცვის „მიუვალობის" შესახებ გერმანელების მიერ ატეხილი აურზაური წმინდა წყლის სიცრუეა, რომელიც სუსტი ნერვების მქონე ხალხის დაშინების ვარაუდზეა აგებული. დიეპის ოპერაციამ ნათლად დაგვანახვა, რომ სავსებით შესაძლებელია ევროპის სანაპიროს ყოველ პუნქტში დიდი დესანტების გადასხმა არტილერიისა და სატანკო ნაწილების თანხლებით. მან კვლავ დაადასტურა ინგლის-ამერიკის ავიაციის ნამდვილი ბატონობა დასავლეთში, რომელიც უზრუნველჰყოფს ყოველგვარი დესანტის დაცვასა და მხარდაჭერას ჰაერიდან.

მეტად საგულისხმოა, რომ გერმანიის რადიომ, რომელმაც კარგად იცის, რასაკვირველია, ინგლისელების მიერ ფრანგების გაფრთხილების საფუძველზე, რომ დიეპის რაიონში მოკავშირეთა ჯარების გადასხმა მხოლოდდამხოლოდ რეპეტიციაა, საშინელი აურზაური ასტეხა და შეეცადა ისე მოეჩვენებინა დიეპის ოპერაცია, როგორც ევროპაში ინგლის-ამერიკის ჯარების შეჭრის ჩაშლილი ცდა, როგორც ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის ცდის ჩაშლა. რასაკვირველია, მთელი ეს აურზაური შემთხვევითი არ არის. ჰიტლერელები ცდილობენ რადიოთი და პრესაში ატეხილი საშინელი აურზაურით დააშინონ მოწინააღმდეგენი და ჩაახშონ საკუთარი შიში. მაგრამ ეს ცდა აშკარად უვარგისი საშუალებებით მოწყობილი ცდაა. ვერაფერი ვერ შეაჩერებს ისტორიის ულმობელ მსვლელობას, რომელიც დემოკრატიულ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დარტყმით გარდუვალ დაღუპვას უქადის ჰიტლერულ ბლოკს.

• • •

გასულმა კვირამ მოგვიტანა ახალი დამამტკიცებელი საბუთი, რომ უფრო და უფრო იზრდება განმათავისუფლებელი ბრძოლა საფრანგეთის ხალხისა, რომელიც ჰიტლერული ოკუპაციის უღელქვეშ გმინავს. პარიზში, მარსელში, ლიონსა და საფრანგეთის ბევრ სხვა ქალაქში დიდი ანტიგერმანული დემონსტრაციები გაიმართა. ვიშის გამცემლური მთავრობის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მერყევი ხდება. გერმანიასთან მისი „მეგობრობის" პოლიტიკა ფრანგი ხალხის სულ უფრო და უფრო მეტ გაბოროტებას იწვევს. მეორე მხრივ, ლავალის ბატონებიც—გერმანელი ოკუპანტებიც—სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ მათი ლაქია უძლურია, რომ მას არ შეუძლია „დაამშვიდოს" ფრანგი ხალხი და უზრუნველჰყოს ჰიტლერული გერმანიის ზურგი საფრანგეთში. აქედან გამომდინარეობს მისწრაფება, რომ სხვა ვინმე გამონახონ ლავალის ნაცვლად. ამასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო ხშირად ახსენებენ გაწაფულ მოღალატეთა—დორიოს და დეას სახელს, რომლებიც თავიანთი საზიზღრობით და ჰიტლერელთა წინაშე მლიქვნელობით ლავალსაც კი აჭარბებენ.

მაგრამ რა ღონისძიებაც უნდა იხმარონ გერმანელებმა საფრანგეთში თავიანთი ზურგის განსამტკიცებლად, ვინც უნდა გამონახონ ლავალის ნაცვლად, ვერაფერი ვერ აიძულებს ფრანგ ხალხს დაჰყაროს იარაღი. საფრანგეთში სულ უფრო და უფრო იზრდება საყოველთაო აღშფოთება. ფრანგი ხალხი მოუთმენლად მოელის იმ ჟამს, როცა დემოკრატიულ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები ევროპაში შეიჭრებიან, და ემზადება იმისათვის, რომ იარაღით მიიღოს მონაწილეობა თავის განთავისუფლებაში.

• • •

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე სამი თვის ბრძოლების შედეგებმა, რაც საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა ქვეყანაში. ყველა ნეიტრალური ქვეყნის პრესა აღნიშნავს წითელი არმიის წინააღმდეგობის ძალის ზრდას და ჰიტლერელთა უდიდეს ზარალს, რაც უცილობლად ამზადებს ნიადაგს გერმანიის ჯარების მომავალი განადგურებისათვის.

პირველი მსოფლიო ომის დროს, რომელიც 51 თვეს გაგრძელდა, გერმანიის არმიამ 7,5 მილიონი კაცი დაჰკარგა მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით მაშინ მარტო მოკლულთა სახით მან 2 მილიონამდე კაცი დაჰკარგა. სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის მარტო ერთი წლის განმავლობაში ჰიტლერის არმიამ 10 მილიონი კაცი დაჰკარგა, აქედან მარტო მოკლულთა სახით—3,5 მილიონი. მარტო უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ჰიტლერელებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 1.250.000 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს.

სამხრეთის ფრონტზე შეტევისათვის გერმანიამ თავისი უკანასკნელი რეზერვები გამოიყვანა ბრძოლაში. სერიოზულად გაიზარდა საფრთხე, რომელიც თავს დასტრიალებს ჩვენს სამშობლოს. მტრის შეჩერება ახლა, განადგურება მტრის დივიზიებისა, რომლებიც საბჭოთა ნავთისაკენ მოისწრაფვიან, იმას ნიშნავს, რომ უზრუნველვყოთ ჩვენს მოსისხლე მტერზე გამარჯვება. არც ერთი ნაბიჯი უკან — ასეთია სამშობლოს წმინდა ბრძანება. არც ერთი ნაბიჯი უკან—და მალე უზრუნველყოფილი იქნება მტერზე გამარჯვება.

გ. კონსტანტინოვსკი

სსრკ ნავთის მრეწველობის სახკომისარიატის თბილისის ნავთის ტექნიკუმი

აცხადებს 1942-43 სასწავლო წლისათვის მსმენელთა მიღებას ქართულ და რუსულ სექტორებზე.

ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოსებს ნავთის და გაზის ჭაბურღილების ექსპლოატაციისა და ბურღვის დარგში.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირები 15-დან 30 წლის ასაკამდე: I კურსზე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა, II კურსზე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის 10 და 9 კლასი, ხოლო III კურსზე სხვა ტექნიკუმების მოსწავლენი.

განცხადების მიღება სწარმოებს 10 სექტემბრამდე.

განცხადებას თან დართული უნდა ჰქონდეს: ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა, დაბადების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და სამი შემოწმებული ფოტო-სურათი. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედროვალდებულთათვის) და პასპორტი წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად გამოცხადების დროს.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

განცხადებები მიიღება შემდეგი მისამართით: თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა № 9. ნავთის ტექნიკუმი. ტელეფონი 3—12—82.

კანცელარია ღიაა დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

199 **დირექცია**

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ 26/VIII, ქ. ონში დანიშნულია ამავე სასამართლოს თავმჯდომარის ყორა ალიბეგაშვილის ძმის

აკაკი ალექსანდრეს-ძე ალიბეგაშვილის

სამოქ. პანაშვიდი. 1053

თბილისის მესამე სახელმწიფო სასწავლებლის თანამშრომლები იუწყებიან ვერა წვერავას ძმის

ბიგლა სევერიანეს-ძე წვერავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. წულუკიძეში, 23/VIII. 1051

საქ. მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან სპირიდონ პაპუაშვილის მამის

ნიკოლოზ (ნიკა) ივანეს-ძე პაპუაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 23/VIII. 2 ა. როდენის ქ. № 5. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 1054

საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წარმოების თანამშრომლები იუწყებიან იოსებ ხეთაგიშვილის დედის

გაიანე ივანეს-ასულ ხეთაგიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 23/VIII, 6 ს. საბჭოს ქ. № 58. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1052

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

..0 7987